თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 4

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

28 თებერვალი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. შალვა ჭარკვეტაძე, 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. ბიძინა ბუცხრიკიძე, 11. კახა ბუცხრიკიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. როლანდი მესხი.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282205321, 22.02.2022 წ.);

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი
   თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

2. ამბერკი დოლაკიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

   მომხს.; ბ.ბუცხრიკძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14

დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 690.0 ათასი ლარით და შეადგენს 22789.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 690.0 ათასი ლარით (გრანტი). საქართველოს მთავრობის განკარგულებებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამებიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 690.0 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 690.0 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გაიზაედა 690.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282205321, 22.02.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ამბერკი დოლაკიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ამბერკი დოლაკიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 28 თებერვლის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი